

2010 წელს განხორციელებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების
ანგარიში

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

მათემატიკა, კომპიუტერული მეცნიერებები

კვლევის თემა: რეკურსულად გადათვლადი სიმრავლეების ამოუხსნადობის ხარისხების კვლევა სხვადასხვა ტიპის დაყვანადობის მიმართ

კვლევაში ჩართული პერსონალი: როლანდ ომანაძე, სრული პროფესორი

ირაკლი ჩიტაია, პირველი კურსის მაგისტრანტი

2010 წელს ჩატარებული სამუშაოების მოკლე რეზიუმე:

ნაჩვენებია, რომ ორი ჰემიმაქიმალური სიმრავლე არის Q_1 -ეკვივალენტური მაშინ და მხოლოდ მაშინ, როცა ისინი არიან 1-ეკვივალენტური.

დამტკიცებულია, რომ Q_1 -ხარისხები არ ქმნიან ზედანახევარ მესერს .

ნაჩვენებია, რომ ჰიპერჰიპერიმუნური სიმრავლეების s -ხარისხები არ არიან ჩაკეტილი ზევით.

გამოქვეყნებული პუბლიკაციები/მონოგრაფიები:

1. Roland Omanadze and Andrea Sorbi. Immunity properties of the s -degrees. Georgian Mathematical Journal, v.17, #3, 2010, pp.563-579.
2. Irakli O.Chitaia, Roland Sh. Omanadze and Andrea Sorbi. Immunity properties and strong positive reducibilities. [Archive for Mathematical Logic](#)

DOI: 10.1007/s00153-010-0216-5Online First™

3. I.O.Chitaia, R.Sh.Omanadze . Q_1 -degrees of c.e. sets. International Conference “MAL’TSEV MEETING”, dedicated to 70th anniversary of Academician Yurii Leonidovich Ershov. May 2-6, 2010. Collection of abstracts (www.math.nsc.ru).

სამომავლო გეგმები:

აქტიური მუშაობა.

კვლევაში ჩართული პერსონალი: პროფ. რ. გრიგოლია, პროფ. ტ. კისელიოვა, პროფ. ვ. ოდიშარია, დოქტორანტი რ. ლიპარტელიანი.

2010 წელს ჩატარებული სამუშაოების მოკლე რეზიუმე:

აღწერილია თავისუფალი ალგებრები, დახასიათებულია პროექციული ალგებრები ალგებრების მრავალსახეობებში, რომლებიც შეესაბამება ლუკასევიჩის ლოგიკას, ლუკასევიჩის ლოგიკას გაფართოებული უნარული მოდალური ტიპის კავშირებით, ბაზისურ ლოგიკას, ბიმოდალურ გოედელის ლოგიკას. ამ პრობლემების ამოხსნა იძლევა საშუალებას ამოიხსნას უნიფიკაციის პრობლემები, რომლებიც თამაშობენ მნიშვნელოვან როლს თეორემების ავტომატურ დამტკიცებაში (კომპიუტერის საშუალებით), რომელიც თავის მხრივ მნიშვნელოვანია კომპიუტერულ მეცნიერებებში.

განხილული და გამოვიკვლეული იქნა სხვადასხვა მიდგომები გადაწყვეტილებათა სისტემების გამოყენებით ზოგად სქემათა ჩარჩოში და გრძელდება გამოკვლევებს დროის ფაქტორის გამოყენებით. ზოგადი სქემა შეიცავს საკმარის მოქნილობას, რომ ვაწარმოთ სხვადასხვა ზოგადად გამოყენებადი ცოდნის წარმოდგენა, რომ წარმოვადგინოთ სხვადასხვა ტიპის გამოყვანის მექანიზმი. დინამიკური სისტემებისთვის ზოგადი სქემის გამოყენების საშუალება დაფუძნებულია კონტექსტზე დამოკიდებული ფაზი სიმრავლეებზე, სადაც დრო აღებულია როგორც კონტექსტი.

გამოქვეყნებული პუბლიკაციები/მონოგრაფიები:

Revaz Grigolia (with Antonio Di Nola, Luca Spada), „A discrete representation of free MV-algebras”, **Math. Log. Quart.** 56, No. 3, 279 – 288 (2010)

Revaz Grigolia, T. Kiseliova, V. OdiSaria, “Free and Projective Bimodal Symmetric Goedel Algebras”, *Multi-Valued Logic and Soft Computing*. (წარდგენილია დასაბეჭდად).

რ. გრიგოლია, ”გოედელის თეორემა”. გადაცემულია დასაბეჭდად ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ჯურნალში.

T. Kiseliova (with A. Sikharulidze. M. Fandoeva), “Investigation of hit waves with fuzzy methods”, *Applied Soft Computing* (წარდგენილია დასაბეჭდად).

T. Kiseliova (with K. Pagava), ”Fuzzy logic in diagnostics of rare disease”, *Bioinformatics*. (წარდგენილია დასაბეჭდად)

სამომავლო გეგმები: აღნიშნულ პრობლემატიკაზე მუშაობის გაგრძელება

2010 წელს მიმდინარე გრანტები

I.

Name of the grant : **Application of fuzzy logic with operators in the knowledge based systems.**
STCU-GNSF 09/5015 (#547)

- a) Grant giving institution: **STCU (Science and Technology Center in Ukraine) and GNSF (Georgian National Scientific Foundation)**
- b) Grant duration: **2009- 2011**
- c) Total budget of the grant: **69 974 USA Dollar**
- d) Name of the grant manager and scientific advisor: **Prof. Revaz Grigolia**
- e) Further involved institutions (Individual international contacts, Universities, companies, Governmental institutions): **University of Alberta, Department of Electrical and Computer Engineering (Canada); University of Texas at El Paso, Department of Computer Science (USA); University of Salerno, Department of Mathematics and Informatics; European Centre for Soft Computing (Spain).**
- f) Participants: **Prof. Revaz Grigolia, Prof. Tatiana Kiseliova, doctorate Ramaz Liparteliani**

II.

- a) Name of the grant : **Structural and computational properties of logical structures.**
GNSF/STCU 09/561.
- b) Grant giving institution: **CNRS (Centre National de la Recherche Scientifique, France) and GNSF (Georgian National Scientific Fund)**
- c) Grant duration: **2009- 2011**
- d) Total budget of the grant: **30 000 Euro**
- e) Name of the grant manager and scientific advisor: **Prof. Revaz Grigolia, Prof. Michel Parigot (University Paris-7)**
- f) Further involved institutions (Individual international contacts, Universities, companies, Governmental institutions): **University Paris-7, PPS 9 Prueves, Programmes, Systems), UMR 7126**
- g) Participants: **Prof. Revaz Grigolia, Prof. Tatiana Kiseliova, doctorate Ramaz Liparteliani**

III.

- a) Name of the grant : **Unification, Free Algebras and Projectivity in some Varieties of Algebras with residuations. # GRANT/ST 09_270_3-105 (# 1-3/91)**
- b) Grant giving institution: **GNSF (Georgian National Scientific Fund)**
- c) Grant duration: **2010- 2012**
- d) Total budget of the grant: **146454 GEL**
- e) Name of the grant manager and scientific advisor: **Prof. Revaz Grigolia**
- f) Participants: **Prof. Revaz Grigolia, Prof. Tatiana Kiseliova, doctorate Ramaz Liparteliani**

IV.

- a) Name of the grant : **The investigation of the logical problems of some discrete mathematical structures with algebraic, algorithmic and combinatorial approach. # GNSF/ST 09_144_3-105 (# 1-3/102)**
- b) Grant giving institution: **GNSF (Georgian National Scientific Fund)**
- c) Grant duration: **2010- 2012**
- d) Total budget of the grant: **146454 GEL**
- e) Participants: **Prof. Revaz Grigolia**

2009-2010 წლის ანგარიში: ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

ეროვნული და საერთაშორისო სამეცნიერო საგრანტო პროექტებში მონაწილეობა

№	მოქმედების ვადები	პროექტის დასახელება	როლი პროექტში	დონორი
1	2010 – 2012	<i>უნიფიკაცია, თავისუფალი ალგებრები და პროექციულობა რეზიდუმის მქონე ალგებრათა ზოგიერთ მრავალსახეობებში</i> # GRANT/ST 09_270_3-105 (# 1-3/91)	სამეცნიერო ხელმძღვანელი და მენეჯერი	საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი 146454 ლარი
2	2010 – 2012	<i>ზოგიერთი დისკრეტული მათემატიკური სტრუქტურის ლოგიკური პრობლემების კვლევა ალგებრულ-ლი, ალგორითმული და კომბინატორული მეთოდებით</i> # GNSF/ST 09_144_3-105 (# 1-3/102)	მონაწილე	საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი 149820 ლარი
3	2009 – 2011	<i>ოპერატორებიანი ფაზილოგიკის გამოყენება ცოდნაზე დაფუძნებულ სისტემებში</i> STCU-GNSF 09/5015 (#547)	სამეცნიერო ხელმძღვანელი და მენეჯერი	ევრო კავშირი (EU-STCU) და საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი (სმსფ) 69 974 USA Dollar
4	2009 – 2011	<i>ლოგიკის სტრუქტურული და გამოთვლითი თვისებები</i> GNSF/STCU 09/561.	სამეცნიერო ხელმძღვანელი და მენეჯერი	საფრანგეთის სამეცნიერო კვლევების ეროვნული ცენტრი-სა (CNRS) და საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი (სმსფ) 30 000 Euro
5	2009 - 2011	<u>სუსტად სტრუქტურირებადი სისტემების მოდელირებისა და სიმულაციის ფაზი-ტექნოლოგიები</u>	მონაწილე	საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი 98555 ლარი

შემსრულებლები: პროფ. რევაზ გრიგოლია, პროფ. ტატიანა კისელიოვა, დოქტორანტი რამაზ ლიპარტელიანი

გამოქვეყნებული პუბლიკაციები/მონოგრაფიები: Revaz Grigolia (with Antonio Di Nola, Luca Spada), „*A discrete representation of free MV-algebras*”, **Math. Log. Quart.** 56, No. 3, 279 – 288 (2010)

მოხსენებები კონფერენციებზე:

1) R. Grigolia, T. Kiseliova, V. Odisharia, “Free and Projective Bimodal Symmetric Goedel Algebras”, the 2010 Int. Conference on Logic, Algebra and Truth Degrees, September 7-11, 2010, Prague, Czech Republic

2) R. Liparteliani, “MV-algebras with constant elements”, the 2010 Int. Conference on Logic, Algebra and Truth Degrees, September 7-11, 2010, Prague, Czech Republic

3) T. Kiseliova, “ALGORITHMIC APPROACH TO DIAGNOSTICS OF RARE DISEASES”, the 2010 Int. Conference on Public Health Decision Making, May 30 - June 2, 2010, Hall in Tyrol, Austria

4) T. Kiseliova, “FUZZY LOGIC APPROACH TO ELABORATION OF MEDICAL GUIDELINES”, the Proceedings of the 2010 Int. Conference on Public Health Decision Making, May 30 - June 2, 2010, Hall in Tyrol, Austria

5) R. Grigolia, “*Projective MV-algebras and Projective Formulas of Lukassiewicz Logic*”, Workshop PARIS - INNSBRUCK – TBILISI, Paris, May 20-21 2010.

6) R. Grigolia, T. Kiseliova, “*Unification Problem in Modal System $LinTGrrz$* ”, Workshop PARIS - INNSBRUCK – TBILISI, Paris, May 20-21 2010.

7) R. Liparteliani, “*Projective closure MV_m -algebras and Projective Formulas of finitely valued Lukassiewicz Logic with operators*”, Workshop PARIS - INNSBRUCK – TBILISI, Paris, May 20-21 2010.

8) R. Grigolia, “Projectivity and Unification Problem in Varieties with Residuations”, Lattice-Ordered Groups and MV-Algebras: Interaction and Impact on Algebras of Logic, October 13-15, 2010, Buenos Aires (Argentina)

2009-2010 წლის ანგარიში: ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

ელექტრული და ელექტრონული ინჟინერიის დეპარტამენტი

მაღალრეიტინგულ (იმპაქტ-ფაქტორის მქონე) სამეცნიერო ჟურნალებში გამოსაქვეყნებლად
მიღებული ნაშრომები

1. **G. Ghvedashvili** „The MAS approach to modeling of electromagnetic field’s scattering on two-dimensional periodic structures“ Journal of Computational and Theoretical Nanoscience

საერთაშორისო რეფერირებად, რეცენზირებად სამეცნიერო ჟურნალებში, სამეცნიერო კონფერენციის სრულ მოხსენებათა კრებულებში (proceedings) გამოქვეყნებული შრომები

1. **G. Ghvedashvili** „MAS-MBPE Application for Plasmonic Structures“ – Proceedings of Photonics Global Conference (available through IEEE Xplore)
- 2.

ეროვნულ სამეცნიერო საგრანტო პროექტები

1. მიწისქვეშა სხეულების დეტექტირება და დისკრიმინაცია: სწრაფი, ზუსტი და ფიზიკურად სრულყოფილი პირდაპირი და შებრუნებული მოდელების კომბინირება აუფეთქებელი ჭურვების იდენტიფიცირების ამოცანაში – სსეფ #GNSF/ST08—450
2. კომპოზიციური მეტამასალების მოდელირება ნანო-ოპტიკური მოწყობილობებისთვის –მენეჯერი გ. ღვედაშვილი, – GNSF/ST08—424

საერთაშორისო სამეცნიერო საგრანტო პროექტები

1. IREX University Administration Support Program (UASP Topic: Research Management – გ. ღვედაშვილი
2. Modernization of LAE infrastructure and development of Unique Georgian Research (SNF, SCOPES) ხელმძღვანელი გ. ღვედაშვილი
3. “კომპლექსური მიდგომა UXOU დისკრიმინაციისადმი: კომბინირებული პროგრესული EEMIM გადაგზავნის და სიგნალის დამუშავების სტატისტიკური მეთოდოლოგიები” – პოფ. რ. ჯობავა

2009-2010 წლის ანგარიში: ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

2010 წელს განხორციელებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების
ანგარიში

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი
ფიზიკის დეპარტამენტი

ქვემიმართულება: თეორიული ფიზიკა

კვლევის თემა:

- 1) პარალელურ მაგნიტურ ველთან დაკავშირებული მოვლენები ჰოლის ორშრიან სისტემებში
- 2) ექვსკუთხა (ფიჭური) მესერის შესაბამისი ჰარპერის განტოლება მაგნიტური ველის დაძაბულობის კერძო შემთხვევებში

კვლევაში ჩართული პერსონალი: თსუ სრული პროფესორი მერაბ ელიაშვილი თსუ ასისტენტ პროფესორი გიორგი ციციშვილი

2010 წელს ჩატარებული სამუშაოების მოკლე რეზიუმე:

შესწავლილია (ზ. ეზავასთან (Z.F. Ezawa, Tohoku U.) თანამშრომლობაში) პარალელურ მაგნიტურ ველთან დაკავშირებული მოვლენები ჰოლის ორშრიან სისტემებში, კერძოდ კი – ელემენტარულ ადგენებთან საკითხები თანაზომვად ფაზაში. დადგენილია ძირითადი მდგომარეობის მართკუთხა და წრიული გეომეტრიული აღწერის დამაკავშირებელი გარდაქმნა. აღნიშნული გარდაქმნის დახმარებით აგებულია სივრცეში ლოკალიზებულ ელექტრონულ-ხვრელურ ადგენებთან მიკროსკოპული (ფოკის) მდგომარეობები, რომლებიც ხასიათდება სპინური(β_s), ფსევდოსპინური (β_p) და შერეული (β_r) პარამეტრებით. გამოკვლეულია ელექტრონულ და ხვრელურ ადგენებთან შესაბამისი სიმკვრივეთა სივრცული განაწილება და ცხადი სახით არის ნაჩვენები ადგენებთან შინაგანი სტრუქტურის მერონული ბუნება. გამოთვლილია ელექტრონულ-ხვრელური წყვილის ადგენების ენერგია, როგორც ამ სამი (β_s, β_p, β_r) პარამეტრის ფუნქცია. ნაპოვნია ადგენების ენერგიის მინიმუმი პარამეტრების მიხედვით და გამოკვლეულია წყვილის სახეობის (s,p,r) დამოკიდებულება სისტემის განმსაზღვრელ (შრეთაშორისი ტუნელირების Δ_{SAS}, ზეემანის ენერგიის Δ_z და სიმკვრივის შრეთაშორისი სხვაობის σ₀) პარამეტრებზე. აგებულია ამ დამოკიდებულებების ფაზური დიაგრამა. მიღებულ თეორიულ შედეგებზე დაყრდნობით ახსნილია არსებული ექსპერიმენტული .

აღნიშნულ კერძო შემთხვევებზე დაკვირვების შედეგად ნაპოვნია ჰარპერის განტოლების ზოგადი მახასიათებელი თვისებები. ამ თვისებებზე დაყრდნობით ამოცანა მიყვანილია მატრიცათა ეგრედ წოდებული სინგულარული მნიშვნელობების ამოცანამდე. გამოვლინდა ერთ-ერთი გარემოება, რაც ფიჭურ მესერს განასხვავებს სამკუთხა და ოთხკუთხა მესერისაგან. კერძოდ, იმ შემთხვევაში, როდესაც ფიჭური მესერის ექვსკუთხედს ერთეულოვანი მაგნიტური ნაკადი განჭოლავს, ხდება ეგრედ წოდებული ბრილუენის ზონის ორად გახლეჩა, რაც არ დაიმზირება სამკუთხა და მართკუთხა მესერის შემთხვევაში. ამასთან დაკავშირებით აღნიშნული შემთხვევა (ერთი მაგნიტური კვანტი ყოველ ექვსკუთხედზე) უფრო დეტალურად არის განხილული როგორც მარტივი (საცდელი) მოდელი. ცხადი სახით არის ნაპოვნი კვაზინაწილაკების შესაბამისი საკუთარი მდგომარეობები და დადგენილია მათი ტრანსფორმაციული თვისებები ბრილუენის ზონის მახასიათებელი წანაცვლებების მიმართ. მოცემულ ეტაპზე მიდმინარეობს შესაბამისი სიმკვრივის ოპერატორების ძიება, რაც საჭიროა კვაზინაწილაკებს შორის მოქმედი ურთიერთქმედების სახის დასადგენად.

გამოქვეყნებული პუბლიკაციები/მონოგრაფიები:

“Skyrmion and bimeron excitations in bilayer quantum Hall systems” Physica E42 (2010) 1069.

სამომავლო გეგმები:

გაგრძელება კვლევები ზემოთ აღნიშნული მიმართულებებით

კვლევის თემები:

1. დამატებითი განზომილებიანი მოდელები;
2. გრავიტაციის მახის მოდელი.

კვლევაში ჩართული პერსონალი:

მერაბ გოგბერაშვილი

2010 წელს ჩატარებული სამუშაოების მოკლე რეზიუმე:

2010 წლის განმავლობაში ვმუშაობდი ზემოთ ჩამოთვლილ ორ თემატიკაზე:

პირველი თემატიკით, მდგარი გრავიტაციული ტალღების პრობლემები დამატებით განზომილებიან მოდელებში, უკვე გამოვაქვეყნა 1 სტატია (კალიფორნიის სახელმწიფო უნივერსიტეტის, აშშ, პროფესორ D. Singleton-თან ერთად). მეორე მომზადებული სტატია (მორელიის სახელმწიფო უნივერსიტეტის, მექსიკა, პროფესორ A. Aguilar-თან ერთად) უახლოეს დროს გამოქვეყნდება.

მეორე თემატიკით, მახის ეფექტზე დაფუძნებული გრავიტაციის ალტერნატიული მოდელი, მოვამზადე ორი სტატია, რომელთაგანაც ერთ-ერთი უკვე მიღებულია Int. J. Theor. Phys. მიერ, ხოლო მეორე (პოლონელ სტუდენტ I. Kanatchikov-თან ერთად) ამჟამად განხილვის სტადიაშია. კიდევ ერთი სტატია მომზადების სტადიაშია.

გამოქვეყნებული პუბლიკაციები/მონოგრაფიები:

1. M. Gogberashvili and D. Singleton,
“Anti-De Sitter Island-Universes from 5d Standing Waves”
Modern Physics Letters A, **25** (2010) 2131;
2. M. Gogberashvili,
“Thermodynamic Gravity and the Schrodinger Equation”
arXiv:1008.2544 [gr-qc];
3. M. Gogberashvili and I. Kanatchikov,
“On the fine structure constant in the Machian universe”
arXiv:1009.2266 [gr-qc].

სამომავლო გეგმები:

ვაპირებ გავაგრძელო კვლევა ზემოთ ჩამოთვლილი მიმართულებებით.

კვლევის თემა: სინგულარული პოტენციალების ფიზიკა
კვლევაში ჩართული პერსონალი:

ასისტენტ – პროფესორი თეიმურაზ ნადარეიშვილი, ანზორ ხელაშვილი

2010 წელს ჩატარებული სამუშაოების მოკლე რეზიუმე:

ნაჩვენებია, რომ კარგად ცნობილი პოტენციალები, რომლებიც იძლევიან ჰადრონული სპექტრების დამაკმაყოფილებელ აღწერას, შეიძლება მიღებულ იქნას დაისონ-შვინგერის განტოლებიდან აგებული გლუონის პროპაგატორის ინფრაწითელი ყოფაქცევის მიხედვით.

ნაჩვენებია, რომ რადიალური ტალღური ფუნქციის განტოლება სრულ სამგანზომილებიან შრედინგერის განტოლებასთან მხოლოდ და მხოლოდ მაშინაა თავსებადი, როდესაც გარკვეული სასაზღვრო პირობა ედება რადიალურ ტალღურ ფუნქციას სათავეში. შედეგი მიღებულია რეგულარული და სინგულარული პოტენციალებისათვის.

გამოქვეყნებული პუბლიკაციები/მონოგრაფიები:

- 1) ანზორ ხელაშვილი, თეიმურაზ ნადარეიშვილი .”რიჩარდსონისა და კორნელის პოტენციალი კვარკებსა და ანტიკვარკებს შორის, გამომდინარე გლუონის პროპაგატორის ინფრაწითელი ყოფაქცევიდან”. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ჟურნალი “მოამბე”. ტომი 4. ნომერი 3. გვერდები 45-47.
- 2) Anzor A. Khelashvili, Teimuraz P. Nadareishvili. “What is the boundary condition for radial wave function of the Schrödinger equation ?” American Journal of Physics. მიღებულია დასაბეჭდად
- 3) A.Khelashvili, T.Nadareishvili. “Delta function singularity in the Reduction of Radial Schrodinger Equation”. arXiv:1009.3612
- 4) Anzor A.Khelashvili, Teimuraz P. Nadareishvili. “Status of the Radial Schrodinger Equation”. arXiv:1007.3513

სამომავლო გეგმები:

სათავეში მანძილის კვადრატის უკუპროპორციული სინგულარული პოტენციალებისათვის შრედინგერის და სხვადასხვა რელატივისტურ განტოლებებში შესწავლილი იქნება ბმული მდგომარეობების და გაფანტვის ამოცანების ფიზიკური სიდიდეების (ენერგია, გაფანტვის კვეთა, გაფანტვის სიგრძე და ა.შ.) თვითშეუღლებების პარამეტრზე დამოკიდებულების საკითხი.

ქვემიმართულება: კონდენსირებული გარემოს ფიზიკა

კვლევის თემა: მაღალტემპერატურული ზეგამტარობა და მაგნეტიზმი

კვლევაში ჩართული პერსონალი: ა. შენგელაია, დ. დარასელია, დ. ჯაფარიძე, ა. ახალკაცი, გ. მამნიაშვილი, ზ. ადამია, ა. მაისურაძე, ზ. გუგუჩია, ო. რომელაშვილი.

2010 წელს ჩატარებული სამუშაოების მოკლე რეზიუმე:

1. დაიწერა ეპრ სპექტრომეტრის მართვის და სპექტრების ციფრული სახით მიღების პროგრამა LabVIEW-ს გამოყენებით.
2. დამონტაჟდა და ამოქმედდა კრიოსტატი რომელიც საშუალებას გვაძლევს ჩავატაროთ ეპრ გაზომვები თხევადი აზოტის გამოყენებით 83-600 კელვინ ტემპერატურულ ინტერვალში.
3. ფირმა "Cryogenic"-ის ფიზიკური თვისებების გამზომი დანადგარის დამონტაჟება და ამუშავება.
4. თხევადი აზოტის დანადგარის დამონტაჟება და ამუშავება.
5. მაღალტემპერატურული ზეგამტარი, კოლოსალური მაგნეტოწინააღმდეგობისა და მაგნიტურად გაზავებული ნახევარგამტარი მასალების დამზადება და მათი მიკროსკოპული მაგნიტური და ზეგამტარული თვისებების შესწავლა.
6. ბირთვული მაგნიტური რეზონანსისა და მიუონის სპინის ბრუნვის მეთოდის გამოყენებით გრიგალური მესერისა და დომენური კედლის დინამიკის შესწავლა ზეგამტარულ და მაგნიტურ მდგომარეობებში.

გამოქვეყნებული პუბლიკაციები/მონოგრაფიები:

1. Comment on "Muon-spin-rotation study of the superconducting properties of Mo_3Sb_7 " R. Khasanov, A. Shengelaya, I.M. Savic, C. Baines, and H. Keller, Phys. Rev. B 82, 016501 (2010)
2. "Field-dependent superfluid density in the optimally doped $\text{SmFeAsO}_{1-x}\text{F}_x$ superconductor" S.Weyeneth, M. Bendele, R. Puzniak, F. Murányi, A. Bussmann-Holder, N. D. Zhigadlo, S. Katrych, Z. Bukowski, J. Karpinski, A. Shengelaya, R. Khasanov, and H. Keller Europhys. Lett. 91, 47005 (2010)
3. "Magnetic and structural properties of Co-substituted single crystal $\text{EuFe}_{1.9}\text{Co}_{0.1}\text{As}_2$ " Z. Guguchia, J. Roos, A. Shengelaya, S. Katrych, Z. Bukowski, S. Weyeneth, F. Murányi, S. Strässle, A. Maisuradze, J. Karpinski, and H. Keller Cond. Mat. [arXiv:1010.5948](https://arxiv.org/abs/1010.5948) (2010)

სამომავლო გეგმები: კვლევების გაგრძელება სპილენძისა და რკინის საფუძველზე შექმნილ მაღალტემპერატურულ ზეგამტარებში და ნანოზომის მაგნიტურ სტრუქტურებში.

მოხსენებები კონფერენციებზე: დაკვეთილი მოხსენებები (Invited Talks)

1. A. Shengelaya "Charge, Spin and Lattice dynamics in $\text{YBa}_2\text{Cu}_3\text{O}_x$ studied by Electron Paramagnetic Resonance" International Conference on Superconductivity and Magnetism (Antalya, Turkey, 2010)

2. A. Shengelaya “Study of Novel Superconducting and Magnetic Materials using Muon Spin Rotation Technique” 4th Georgian–German School and Workshop in Basic Science (Tbilisi, Georgia, 2010)

3. A. Shengelaya “Muon Spin Rotation – Unique Tool in Modern Condensed Matter Physics” 19th International Spin Physics Symposium (SPIN2010) (Julich, Germany, 2010)

კვლევის თემა:

მოწესრიგებული სტრუქტურების ფორმირების დინამიკა გრიგალურ არაერთგვაროვან დენად ასტროფიზიკურ და ლაბორატორიულ პლაზმაში

კვლევაში ჩართული პერსონალი:

თსუ პროფესორი (ასტროფიზიკა): ნ. შათაშვილი;

თსუ პროფესორი (პლაზმის ფიზიკა): ვ. ბერეჟიანი;

თსუ მაგისტრანტი “ფუნდამენტური ფიზიკის” პროგრამით: გ. მილოშევიჩი;

ანდრონიკაშვილის ფიზიკის ინსტიტუტი: ს. მიქელაძე, ქ. სიგუა.

2010 წელს ჩატარებული სამუშაოების მოკლე რეზიუმე:

განხორციელდა: მოწესრიგებული სტრუქტურებისა და არამდგრადობების ფორმირების სისტემური შესწავლა; პლაზმური დინების/ნაწილაკთა აჩქარებისათვის ენერჯების ტრანსფორმაციის მექანიზმების შესწავლა; ამ პროცესების დინამიკის შესწავლა და პლაზმის კონფაინმენტისათვის ხელსაყრელი პარამეტრების არეების იდენტიფიცირება; დავეყრდენით ჩვენს მიერ შემოთავაზებულ გაერთიანებულ მიდგომას მაგნიტო-ჰიდროდინამიკური კავშირებით გამოწვეული მოწესრიგებული სტრუქტურების ფორმირების პრობლემისათვის. ამავე მოდელით ვისარგებლეთ პლაზმური დინების, გარედინებების გენერაციისა და მათი ჩაკეტილი ველებიდან გაქცევის დინამიკის თეორიის აგებისას.

გამოქვეყნებული პუბლიკაციები/მონოგრაფიები:

1. **V.I. Berezhiani**, S.M. Mahajan and **N.L. Shatashvili** *Stable Optical Vortex Solitons in Pair Plasmas. Phys. Rev. A*, **81(5)**, 053812 (2010).
2. **Asymmetry Driven Structure Formation in Pair Plasmas. – Invited Lecture**
N.L. Shatashvili. International Advanced Workshop on the Frontiers of Plasma Physics. 5- 16 July, 2010, Trieste, Italy. http://cdsagenda5.ictp.it/full_display.php?email=0&ida=a09158

სამომავლო გეგმები:

დაგეგმილია დეტალური მუშაობა დისიპაციურ მბრუნავ დამაგნიტებულ პლაზმაში ენერჯის ტრანსფორმაციის მექანიზმების შესასწავლად და მაგნიტო-ჰიდროდინამიკური მიდგომისათვის არსებული რიცხვითი კოდის შემდგომ განვითარებაზე.

კვლევის თემა:

ტალღების ლოკალიზებისა და სიმკვრივის დაგროვებების ამოცანების კვლევა წყვილ იონურ პლაზმაში ასტროფიზიკურ/ლაზორატორიულ პირობებში

კვლევაში ჩართული პერსონალი:

ოსუ პროფესორი (ასტროფიზიკა): ნ. შათაშვილი;

ოსუ პროფესორი (პლაზმის ფიზიკა): ვ. ბერეჟიანი;

ანდრონიკაშვილის ფიზიკის ინსტიტუტი: ს. მიქელაძე, ქ. სიგუა.

2010 წელს ჩატარებული სამუშაოების მოკლე რეზიუმე:

შესწავლილია მაღალი ინტენსივობის ელექტრომაგნიტური ველების (ემ) ტალღების გავრცელების ამოცანა წყვილ იონურ პლაზმაში, რომლის სიმეტრიაც დარღვეულია სხვადასხვა მიზეზით, მაგალითად ასიმეტრია ტემპერატურის მიხედვით სხვადასხვა კომპონენტებში და ასევე მსუბუქი ელემენტების მინარევის ჩართვით; განსხვავებული ტემპერატურის მქონე წყვილი პლაზმის მინარევით. ასეთი სიტუაციები ხშირად გვხვდება ასტროფიზიკურ პირობებში და ამ ამოცანების კვლევა ამ მხრივ მეტად აქტუალურია. ასევე მცირე მასათა განსხვავების ასიმეტრიის შემთხვევაში. ნაპოვნია ახალი ტიპის არაწრფივობა რაც შემდგომში იწვევს ახალი ტიპის ლოკალიზებული გრიგლური და არაგრიგლური სტრუქტურების/იმპულსების. მზრუნავი “სინათლის ტყვიების” ჩამოყალიბებას სხვადასხვა ტიპის გარემოებში.

გამოქვეყნებული პუბლიკაციები/მონოგრაფიები:

1. **Berezhiani, V. I.**, Mahajan, S. M., **Shatashvili, N. L.** *Stable localized electromagnetic pulses in asymmetric pair plasmas. J. Plasma Physics* 76(3&4), 467 (2010).

სამომავლო გეგმები:

დაგეგმილია მიღებული ამონახსნების მდგრადობის ამოცანის შესწავლა; ასევე ასიმეტრიის პარამეტრების კონკრეტული შემთხვევების განხილვა ტალღების ლოკალიზების ამოცანისათვის ძლიერად რელატივისტური პლაზმისათვის რეალურ ასტროფიზიკურ ობიექტებში.

კვლევის თემა:

მზის ატმოსფეროში ცხელი ჩაკეტილი სტრუქტურების ფორმირების და მზის ქარის ფორმირების ამოცანები

კვლევაში ჩართული პერსონალი:

ოსუ პროფესორი (ასტროფიზიკა): ნ. შათაშვილი;

ოსუ მაგისტრანტი “ფუნდამენტური ფიზიკის” პროგრამით: გ. მილოშევიჩი;

ანდრონიკაშვილის ფიზიკის ინსტიტუტი: ს. მიქელამე, ქ. სიგუა;

2010 წელს ჩატარებული სამუშაოების მოკლე რეზიუმე:

შესწავლილია მზის ატმოსფეროში ცხელი ჩაკეტილი სტრუქტურების ფორმირების დინამიკა ჩვენს მიერ ადრემემოთავაზებულ მოდელზე დაყრდნობით რეზისტივითის გათვალისწინებით. ნაჩვენებია, რომ კორონალური სტრუქტურები ფორმირდება სუბკორონალური არიდან გამოსული, შედარებით ცივი პლაზმური დინების ევოლუციისა და რეორგანიზაციის შედეგად არსებულ მაგნიტურ ველთან ურთიერთქმედებისას. პირველადი (Primary) გაცხელება ხორციელდება სტრუქტურის ფორმირების პროცესში და არა შემდგომ. დინების კინეტიკური ენერჯის ნაწილი გარდაიქმნება სითბოში ჩაჭერისა და აკუმულაციის დროს ბლანტი დისიპაციის გამო და დამზერილი კორონალური სტრუქტურა იბადება. სიჩქარის ველი განხილულია როგორც პლაზმის დინამიკის მნიშვნელოვანი და ერთიანი შემადგენელი ნაწილი (მაგნიტურ ველთან ერთიანობაში), ამის გამო არსებობს სწრაფი ხელსაყრელი ბლანტი დისიპაცია და შედეგად კორონალური სტრუქტურა ფორმირებისას შეიძლება გახდეს ცხელი და კაშკაშა. რეზისტივითის გათვალისწინებით ფორმირების დროები და დინამიკა რეალურია.

გამოქვეყნებული პუბლიკაციები/მონოგრაფიები:

1. Formation and primary heating of the solar coronal structures. – Invited Lecture

S.M. Mahajan, N.L. Shatashvili, R.. Miklaszewski & K.I. Nikol'skaya.

EGU General Assembly 2010, 2-7 May, 2010, Vienna, Austria, p.15622 (2010).

2. Solar Atmosphere – Corona and Solar Wind. – Invited Lecture

N.L. Shatashvili.

International Advanced Workshop on the Frontiers of Plasma Physics. 5- 16 July, 2010, Trieste, Italy.

http://cdsagenda5.ictp.it/full_display.php?email=0&ida=a09158

სამომავლო გეგმები:

დაგეგმილია ზემოთ აღნიშნული ამოცანების კონკრეტული საწყისი და სასაზღვრო პირობებისათვის გაგრძელება, მზის ქარის ფორმირების მიზეზების დადგენა და პრობლემის შესწავლა პლაზმის მრავალკომპონენტურობის გათვალისწინებით.

კვლევის თემა:

ასტროფიზიკური დისკებისა და ჯეტების ფორმირებისა და მდგრადობის შესწავლა

კვლევაში ჩართული პერსონალი:

ოსუ პროფესორი (ასტროფიზიკა):

ოსუ ასოც. პროფესორი (ასტროფიზიკა):

ოსუ ასისტენტ პროფ. (პლაზმის ფიზიკა):

ოსუ დოქტორანტი:

ნანა შათაშვილი

ალექსანდრე თევზაძე

გიორგი მამაცაშვილი

ელენე უჩავა

2010 წელს ჩატარებული სამუშაოების მოკლე რეზიუმე:

შესწავლილია წრფივი მოდების ბმა რადიალურად სტრატეფიცირებულ პროტოპლანეტურ დისკებში. მიმდინარეობს სხვადასხვა ვერტიკალური სტრუქტურის ასტროფიზიკური დისკების მდგრადობისა და კონვექციური შეშფოთებებით კუთხური მომენტის რადიალური გადატანის პროცესების შესწავლა. შესწავლილია აკრეციული დისკისა და ასტროფიზიკური ჯეტების კავშირის მოვლენა ჰიდროდინამიკურ მიახლოებაში. კვლევის მიზანი იყო ჯეტის აჩქარებისა და კოლიმაციის უნივერსალური მექანიზმის პოვნა, რომელიც იმუშავებს სხვადასხვა კლასის ჯეტებისათვის. დადგინდა, რომ ბელტრამისა და ბერნულის პირობების შესრულებისას შესაძლებელია აიხსნას დისკი-ჯეტი სისტემის როგორც გეომეტრია, ასევე ენერგეტიკა. განზოგადოებული გრიგალობა (რომელიც მაგნიტურ ველსაც მოიცავს კონკრეტულ შემთხვევებში) თამაშობს მნიშვნელოვან როლს ჯეტების კოლიმაციისა და შენარჩუნებისათვის. მაშინ როცა ჯეტების წარმოქმნისა და ამოტყორცნის მიზეზად ჰიდროდინამიკურ წნევას ენიჭება უპირატესობა ზე-ალფენის დინებებისათვის.

გამოქვეყნებული პუბლიკაციები/მონოგრაფიები:

Tevzadze, A. G., Chagelishvili, G. D., Bodo, G., Rossi, P., 2010, "Linear coupling of modes in two-dimensional radially stratified astrophysical discs", *MNRAS* **401**, 901

Mamatsashvili, G. R., Rice, W. K. M., 2010, "Axisymmetric modes in vertically stratified self-gravitating discs", *MNRAS* **406**, 2050.

Z. Yoshida and N.L. Shatashvili. "Beltrami structures in disk-jet system: alignment of flow and generalized vorticity". *MNRAS*, submitted in 2010 (under revision).

სამომავლო გეგმები:

რთული ვერტიკალური სტრუქტურის დიფერენციალურად მბრუნავ ასტროფიზიკურ დისკებში კონვექციის დინამიკის კვლევის დასრულება. პროცესების შესწავლა პირდაპირი რიცხვითი მოდელირების გამოყენებით. დაგეგმილია ჯეტების ფორმირების გაანალიზება ზოგად ჭრილში, განსაკუთრებით ლაბორატორიული პირობებისათვის (ტრანზიენტული ჯეტები მრავლად გვხვდება თერმობირთვული სინთეზის დამაგნიტებული პლაზმის დანადგარებში). კვლევები გაგრძელდება დისიპაციური პროცესების ჩართვისა და მძლავრი მაგნიტური ველების გენერაციის ამოცანების განხილვის მიმართულებით, ასევე რადიაციული რეაქციის ძალისა და კომპაქტური ობიექტების ატმოსფეროს ზეგავლენის გათვალისწინებითაც.

კვლევის თემა:

შეშფოთებათა წრფივი და არაწრფივი ბმები პლაზმურ დინებებში

კვლევაში ჩართული პერსონალი:

თსუ პროფესორი (ასტროფიზიკა):

ნანა შათაშვილი

თსუ ასისტენტ პროფ. (პლაზმის ფიზიკა):

გიორგი მამაცაშვილი

თსუ დოქტორანტი:

ვიქტორ ავსარქისოვი

2010 წელს ჩატარებული სამუშაოების მოკლე რეზიუმე:

ჩატარებულია შეშფოთებათა წრფივი არამოდულური ბმების ანალიზი დედამიწის ატმოსფეროსა და მზის დინებებში. დაკვირვებადი ეფექტები ახსნილია არაერთგვაროვანი ზონალური დინებების არაორთოგონალუბით გამოწვეული წრფივი მოვლენებით. შესწავლილია დრეიფულ-ბგერითი ტალღის არაწრფივი ლანდაუს ჩაქრობის მოვლენა წანაცვლებითი დინებისა და ტურბულენტური ტრანსპორტის ამოცანებისათვის; გამოკვლეულია დაბალსიხშირული მოდების გენერაციისა და ტალღა-ტალღა ბმების მოვლენები, რათა დადგინდეს ენერგიების ტრანსფორმაციის ფიზიკური მექანიზმები ტოკამაკის პლაზმის მოდელებში.

გამოქვეყნებული პუბლიკაციები/მონოგრაფიები:

Mamatsashvili, G. R., Avsarkisov, V. S., Chagelishvili, G. D., Chanishvili, R. G., Kalashnik, M. V., 2010, “*Transient Dynamics of Nonsymmetric Perturbations versus Symmetric Instability in Baroclinic Zonal Shear Flows*”, J. Atm. Sci. **67**, 2972.

J. Weiland and **N.L. Shatashvili.** *Nonlinear Landau damping of Drift-Acoustic waves in Fusion Plasma.* **Phys. Plasmas** (ready for the submission).

სამომავლო გეგმები:

დაგეგმილია მოდების წრფივი ბმების ანალიზი ალფენის ტალღებისათვის თერმობირთვული რეაქტორებისა და მზის ატმოსფეროში. დაგეგმილია გრიგალური სტრუქტურების თვით-ორგანიზაციისა და კონვანმენტის პროცესების შესწავლა მრავალკომპონენტური პლაზმაში ტოროიდულ/წრფივ მაგნიტურად ჩამჭერ სისტემებთან ანალოგიის დასადგენად.

კვლევის თემა:

სიჩქარის წანაცვლების ეფექტები ქვანტურ პლაზმაში

კვლევაში ჩართული პერსონალი:

თსუ პროფესორი (ასტროფიზიკა):

ნანა შათაშვილი

თსუ პროფესორი (პლაზმის ფიზიკა):

ვაჟა ბერეჟიანი

თსუ ასოც. პროფესორი (ასტროფიზიკა):

ალექსანდრე თევზაძე

2010 წელს ჩატარებული სამუშაოების მოკლე რეზიუმე:

ჩატარებულია სიჩქარის წანაცვლებით გამოწვეული ეფექტების ანალიზი ბოჰმ-დებროილის პოტენციალით აღწერილ ქვანტურ პლაზმაში. მიმდინარეობს მდგრადობისა და შეშფოთებების წრფივი ევოლუციის შესწავლა. კერძოდ, შესწავლილია კუმშვადი შეშფოთებების ევოლუციის სპეციფიკა ტალღური რიცხვის დრეიფის პირობებში და მცირემასშტაბოვანი ქვანტური ძალების გათვალისწინებით. შეფასებულია ქვანტური და კლასიკური ეფექტების თანაფარდობა სხვადასხვა ზღვარში. ნაპოვნია სისტემის

მხასიათებელი პარამეტრები, რომლებიც განსაზღვრავენ კუმშვადი ტალღების ევოლუციის ხასიათს.

გამოქვეყნებული პუბლიკაციები/მონოგრაფიები:

მზადების ფაზაში

სამომავლო გეგმები:

ქვანტური პლაზმის შესწავლა უწყვეტი გარემოს ფიზიკის მეთოდებით. დაგეგმილია როგორც ჰიდროდინამიკური, ისე მაგნიტოჰიდროდინამიკური ამოცანების განხილვა.

კვლევის თემა:

კოსმოლოგიური ტურბულენტობის რიცხვითი მოდელირება

კვლევაში ჩართული პერსონალი:

თსუ ასოც. პროფესორი: ალექსანდრე თევზაძე

2010 წელს ჩატარებული სამუშაოების მოკლე რეზიუმე:

ჩატარებულია ადრეული კოსმოლოგიური მაგნიტოჰიდროდინამიკური ტურბულენტობის მილევის პირდაპირი რიცხვითი მოდელირება. შეფასებულია ტურბულენტობის მილევის მხასიათებელი დრო და კანონი. მიღებული შედეგების საფუძველზე დადგენილია სამყაროს კოსმოლოგიური მაგნიტური ველების თვისებები და შეზღუდვები. განხილულია სხვადასხვა ტიპის ფაზური გადასვლები (ელექტროსუსტი EWPT, ქვანტურ-ქრომოდინამიკური QCD) და მათ მიერ გენერირებული მაგნიტური ველების შესაძლო ნაკვალევი დღეისათვის დაკვირვებად კოსმოლოგიურ მონაცემებში.

გამოქვეყნებული პუბლიკაციები/მონოგრაფიები:

Kahniashvili, T., Brandenburg, A., Tevzadze, A. G., Ratra, B., 2010, “*Numerical simulations of the decay of primordial magnetic turbulence*”, Phys. Rev. D. **81**, 123002.

Kahniashvili, T., Tevzadze, A. G., Sethi, S. K., Pandey, K., Ratra, B., 2010, “*Primordial magnetic field limits from cosmological data*”, Phys. Rev. D., **82**, 083005

Kahniashvili, T., Tevzadze, A. G., Ratra, B., 2010, “*Phase Transition Generated Cosmological Magnetic Field at Large Scales*”, Astrophys. J. (accepted).

სამომავლო გეგმები:

კოსმოლოგიური მაგნიტოჰიდროდინამიკური ტურბულენტობით ადრეულ სამყაროში გრავიტაციული ტალღების გაჩენის რიცხვითი მოდელირება სხვადასხვა ტიპის ფაზური გადასვლებისა და ტურბულენტობის ენერჯის სპექტრალური განაწილების შემთხვევაში.

კვლევის თემა:

მოკლე ინტენსიური ლაზერული იმპულსების კვლევა ოპტიკურ და კომპოზიტურ, ურაცოფითი ფაზური ინდექსის მქონე გარემოებში.

კვლევაში ჩართული პერსონალი:

ოსუ პროფესორი (პლაზმის ფიზიკა): **ვ. ბერეჟიანი;**

ანდრონიკაშვილის ფიზიკის ინსტიტუტი: ს. მიქელაძე, ქ. სიგუა;

2010 წელს ჩატარებული სამუშაოების მოკლე რეზიუმე:

განხორციელდა ულტრა მოკლე ინტენსიური ლაზერული იმპულსის სივრცე-დროითი დინამიკის შესწავლა ანომალური და ნორმალური ჯსდ-ს მქონე გარემოში. გამოყვანილია განზოგადოებული გინზბურგ-ლანდაუს განტოლება, რომელიც აღწერს სოლიტონის დისიპაციურ დინამიკას ასეთ გარემოში. ურთიერთკონპენსაცია სატურაციული არაწრფივობის ნაზრდს, დანაკარგსა და ნამატს შორის საშუალებას იძლევა არადისიპაციური და წარმოუდგენლად მტკიცე სოლიტონის ამონახსნის არსებობისა. შედეგად გარემოც არადისიპაციური ხდება მასში ასეთი სოლიტონების არსებობისას.

აღმოჩენილია თვით-ეფექტები და ახალი ტიპის არადმგრადობები, რომლებიც ტიპურია მხოლოდ ულტრა მოკლე იმპულსებისათვის; განისაზღვრა პარამეტრების ხელსაყრელი დიაპაზონი მდგრადი სამგანზომილებიანი თვით-შენარჩუნებადი იმპულსების (ე.წ. სინათლის ტყვიების) ფორმირებისათვის.

გამოქვეყნებული პუბლიკაციები/მონოგრაფიები:

Skarka, V., Aleksic, N.B., **Berezhiani, V.I.** *Self-organization of dissipationless solitons in positive- and negative-refractive-index materials. Phys. Rev. A, 81, 045803 (2010)*

Skarka, V., Aleksic, N.B., Derbazi, M., **Berezhiani, V.I.** *Filamentation and coalescence of singular optical pulses in narrow-gap semiconductors and modeling of self-organization of vortex solitons using two-photon absorption. Phys. Rev. B, 81, 035202 (2010)*

სამომავლო გეგმები:

დაგეგმილია ულტრა მოკლე, მაღალი ინტენსივობის სინათლის იმპულსების გადატანის / წარმართვის ამოცანის შესწავლა დიდ მანძილებზე შემოუსაზღვრავ ერთგვაროვან / არაერთგვაროვან ოპტიკურ გარემოებში (ურაცოფითი ინდექსის მქონე მასალების ჩათვლით).

2010 წელს დასრულებული გრანტების/სახელშეკრულებო თემების ფარგლებში ჩატარებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ანგარიში

გრანტის სათაური:

“ფაზური დისლოკაციების მქონე ელექტრომაგნიტური იმპულსების დინამიკა რელატივისტურ პლაზმაში” - # 195/07 GNSF/ST07/4-191

ვადები: 1.01.2008 – 31.12.2010

ბიუჯეტი:

შემსრულებლები:

თსუ პროფ. ვაჟა ბერეჟიანი (პლაზმის ფიზიკა) – სამეცნიერო ხელმძღვანელი;

თსუ პროფ. ნ. შათაშვილი (ასტროფიზიკა) – სამეცნიერო ლიდერი;

ს. მიქელაძე, ქ. სიგუა, ნ. ცინცაძე, დ. ცხაკაია, დ. გარუჩავა (ანდრონიკაშილის ფიზიკის ინსტიტუტი).

დამფინანსებელი (დონორი ორგანიზაცია, ფონდი):

საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი (სესფ)

სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების მოკლე ანგარიში:

ამოცანა 1

ფილამენტაციის დინამიკაზე გაიშვიათებულ პლაზმაში ოპტიკური გრიგალის მქონე ემ იმპულსების დროითი პროფილის ცვლილებასთან დაკავშირებული ეფექტების და კილვატერული ტალღების გენერაციის გავლენის შესწავლა.

გამოვლენილია კილვატერული ტალღის დინამიკის ზეგავლენა ფილამენტაციის ევოლუციის მახასიათებლებზე სხვადასხვა ტიპის პლაზმებში. გამოყვანილია განტოლებები რომელნიც აღწერენ რელატივისტური კილვატერული ტალღების გენერაციას სხვადასხვა ტიპის პლაზმებში. რიცხვითი მეთოდების გამოყენებით შესწავლილ იქნა სინგულარული ემ კონის გავრცელების დინამიკა როდესაც ტოპოლოგიური მუხტი არის ერთის ტოლი. დადგინდა იმპულსის მრავალ ფილამენტად დაშლის შედეგად 3DD სოლიტონის გენერაციის შესაძლებლობა ერთ-მუხტიანი სინგულარული იმპულსისათვის. შესწავლილი იქნა სოლიტონური ამონახსნების მდგრადობა როგორც ანალიზური, ასევე რიცხვითი მეთოდების გამოყენებით. რიცხვითი მეთოდების გამოყენებით შესწავლილი იქნა სინგულარული სოლიტონების ფილამენტებად დაშლის არაწფივი დინამიკა როდესაც ტოპოლოგიური მუხტი არის ერთის ტოლი. დადგინდა იმპულსის მრავალ ფილამენტად დაშლის შედეგად 3DD სოლიტონის გენერაციის შესაძლებლობა მრავალ-მუხტიანი სინგულარული იმპულსისათვის. დასრულდა მოდელოური რიცხვითი ექსპერიმენტები იმპულსებისათვის ხანგრძლივობით $>$ პლ. სიხშ.ირეზე. დასრულდა მოდელოური რიცხვითი ექსპერიმენტები იმპულსებისათვის ხანგრძლივობით $=$ პლ. სიხშ.ირეზე. დასრულდა მოდელოური რიცხვითი ექსპერიმენტები იმპულსებისათვის ხანგრძლივობით $>>$ პლ. სიხშ.ირეზე. რიცხვით კოდზე მუშაობა. შეიქმნა კომპიუტერულად გენერირებული ფილმი.

ამოცანა 2

ფაზური დისლოკაციის მქონე ემ იმპულსების დინამიკის შესწავლა რელატივისტურად ცხელ პლაზმაში

აგებულ იქნა მოდელი და განტოლებათა სისტემა ფაზური დისლოკაციის მქონე ემ იმპულსების დინამიკის შესასწავლად რელატივისტურად ცხელ პლაზმაში. გამოყვანილია ტოპოლოგიური მუხტის შენახვის კანონი რელატივისტურად ცხელ პლაზმაში. გამოვლენილია კავიტირებადი 3D სოლიტონის დინამიკაზე სითბური წნევის ეფექტები ოპტიკური გრიგალის მქონე იმპულსების ფილამენტაციისას. დეტალურად შესწავლილია რელატივისტურად ცხელ პლაზმაში კავიტირებადი 3D სოლიტონის დინამიკა. განხორციელდა რიცხვითი სიმულაციები და შექმნილია ალგორითმები : ა) 1+3 მრავალ განზომილებიანი შრედინგერის განტოლების და კილვატერული ტალღის გენერაციის შესასწავლად ; ალგორითმი ტესტირებული იქნა 1 და 2 ტოპოლოგიური მუხტის მქონე გრიგლებისათვის. დამუშავდა ახალი "გამჭვირვალე საზღვრების" ალგორითმი. ბ) 1+2 მრავალგანზომილებიანი მმაქსველის განტოლების და მასთან შებმული კილვატერული ტალღის 1+1 განზომილებიანი განტოლებების შესასწავლად. რელატივისტური ტემპერატურის ეფექტი შემოყვანილი იქნა როგორც სივრცე-დროითი ბიჯის "საწონი". შეიქმნა კომპიუტერის მიერ გენერირებული ფილმი სპინური-სოლიტონების გენერაციის საილუსტრაციოდ.

ამოცანა 3

ოპტიკური გრიგალის მქონე ემ იმპულსების მიერ კვაზისტატიკური მაგნიტური ველის გენერაციის დინამიკისა და ლაზერულ პლაზმაში ფილამენტაციის პროცესზე ამ ველის გავლენის.

განხორციელდა ლაზერულ პლაზმაში სინგულარული იმპულსის დინამიკისა და ფილამენტაციის პროცესზე გენერირებული კვაზისტატიკური მაგნიტური ველების ზეგავლენის დეტალური შესწავლა. ნაჩვენებია რომ გაჯერებადი არაწრფივობა არის აუცილებელი პირობა სტაბილური ფილამენტების აღსადრავად. იმპულსის სტაბილურობა გამოკვლეული იქნა ლიაპუნოვის მეთოდით, რომელიც გადამოწმებულ იქნა რიცხვითი თვლების გამოყენებით. გამოყვანილია ცივი და ცხელი პლაზმისათვის კუთხური მომენტის გადაცემის პირობა. გაგრძელდა მუშაობა სინგულარული იმპულსების დინამიკის შესასწავლად ნახევარგამტარულ პლაზმაში. კერძოდ განხილული იქნა ასეთ გარემოსთვის კუთხური მომენტის გადაცემის შესაძლებლობა. გამოყვანილი იქნა განზოგადებული გინზბურ-ლანდაუს განტოლება. ნაჩვენები იქნა რომ დისიპაციურ "რელატივისტურ" ნახევარგამტარებში შესაძლებელია ლაზერული იმპულსის კუთხური მომენტის გადაცემა ელექტრონებისთვის.

გამოქვეყნებული პუბლიკაციები/მონოგრაფიები:

1. V.I. Berezhiani, S.M. Mahajan and Z. Yoshida. "Plasma acceleration and cooling due to the action of radiation reaction force". *Phys. Rev. E*, 78, 066403 (2008).

2. S.M. Mahajan and N.L. Shatashvili. *Wave Localization and Density Bunching in Pair Ion Plasmas*. **Phys. Plasmas**, **15** (10), 100701 (2008).
3. S.M. Mahajan, N.L. Shatashvili, and V.I. Berezhiani, “Asymmetry-driven structure formation in pair plasmas”, **Phys. Rev. E** **80**, 066404 (2009).
4. V.I. Berezhiani, S.M. Mahajan, and N.L. Shatashvili, “Stable Optical Vortex Solitons in Pair Plasmas”, **Phys. Rev. A** **81**, 053812 (2010).
5. V.I. Berezhiani, S.M. Mahajan, and N.L. Shatashvili, “Stable localized electromagnetic pulses in asymmetric pair plasmas”. **J. Plasma Physics** **76**, 467 (2010).
6. S.S. Gillani, N.L. Tsintsadze, H.A. Shah, and M. Razzaq, “Instabilities and generation of a quasistationary magnetic field by the interaction of relativistically intense electromagnetic wave with a plasma” **Phys. Plasmas** **17**, 082104 (2010).
7. V. Skarka, N. B. Aleksić, M. Derbazi, and V. I. Berezhiani, “Filamentation and coalescence of singular optical pulses in narrow-gap semiconductors and modeling of self-organization of vortex solitons using two-photon absorption”, **Phys. Review B** **81**, 035202 (2010).

მოსენებები კონფერენციებზე:

Invited Lecture by N. L. Shatashvili “*Asymmetry-driven structure formation in Pair Plasmas*” at

International Workshop on Frontiers of Plasma Physics (5 - 16 July 2010, Trieste, Italy)

http://cdsagenda5.ictp.it/full_display.php?email=0&ida=a09158

ქვემიმართულება: არაწრფივი მოპვლენების ფიზიკა

კვლევის თემა: არაწრფივი სისტემების ქაოსური დინამიკა

კვლევაში ჩართული პერსონალი: ა.უგულავა, ს.ჩხაიძე, ზ.ტოკლიკიშვილი

2010 წელს ჩატარებული სამუშაოების მოკლე რეზიუმე:

ანჰარმონიული ოსცილატორის მოდელში განხილულია ელექტრონის ჰამილტონის ფუნქცია ატომში, რომელიც იმყოფება ელექტრომაგნიტური გამოსხივების მოქმედების ქვეშ. დაწვრილებითაა მოცემული ნულოვან მიახლოებაში იზოლირებული რეზონანსის განხორციელების პირობები. სტაციონარული რეზონანსული რეჟიმის მდგომარეობაში წარმოიქმნება მდგომარეობა გარკვეული ქმედებით, რომელიც კლასიკური სიდიდეა. მისი შესწორება კი შეიძლება იყოს როგორც კლასიკური, ისე კვანტური სიდიდე. პირველ შემთხვევაში, ზომიერი არაწრფივობის მიახლოებაში, ქმედების დინამიკა განისაზღვრება უნივერსალური ჰამილტონიანით მეორე შემთხვევაში კი მისი კვანტური ანალოგით. ამ შეცვლის შედეგად მიღებულია არაწრფივი დიფერენციალური განტოლება რეზონანსული ქმედების შესწორებისათვის. იმ დაშვებით, რომ წარმოქმნილი კვანტური მდგომარეობა არის ქმედების შესწორების ოპერატორის საკუთარი მდგომარეობა, მიღებულია ქმედების შესწორების განტოლება მათიეშრედინგერის განტოლების ფორმით.

განხილულია ტავის-კამინგის ჰამილტონიანი, რომელიც აღწერს ორფოტონიან გადასვლებს რეზონატორის შიგნით ატომის გადატანითი მოძრაობის გათვალისწინებით. კვაზიკლასიკური მეთოდის გამოყენებით მიღებულია მოძრაობის განტოლებები ასეთი სისტემისათვის. მიღებული განტოლებები ინტეგრებულია სუსტი არაწრფივობის შემთხვევაში, როდესაც ატომის მოძრაობის კოორდინატა და იმპულსი შეგვიძლია ჩავთვალოთ ნელ ცვლადებად ატომშიდა გადასვლების მახასიათებელ ცვლადებთან შედარებით. რეზონანსულ და არარეზონანსულ შემთხვევებისათვის მიღებულია ამოხსნები ატომის მახასიათებელი სიდიდეებისათვის, რომლებიც იაკობის და ვაიერშტრასის ფუნქციებით გამოისახება. ნაჩვენებია რომ ატომის გადატანითი მოძრაობისათვის შეიძლება მიღებულ იქნას განტოლება, რომელიც დადის მათემატიკური საქანის განტოლებაზე რომელზეც მოქმედებს გარე პერიოდული შემფოთება. სხვადასხვა შემთხვევებისთვის გაკეთებულია ამ განტოლების ანალიზი და ნაჩვენებია რომ ამ დროს მიიღება მინიმალური ქაოსი. შეფასებულია სტოქასტური შრის სიგანე. ადრე მიღებული განტოლებების საფუძველზე შესწავლილია სისტემის ყოფაქცევა ძლიერი არაწრფივობის პირობებში. არარეზონანსულ შემთხვევაში მითებულია ანალიზური ამოხსნები ცვლადისთვის. შესწავლილია s_z - ის ყოფაქცევა და გადართვა ერთი ტიპის მოძრაობიდან მეორე ტიპის მოძრაობაზე.

განხილულია ჰამილტონიანი, რომელიც აღწერს სამდონიანი ატომის ურთიერთქმედებას ელექტრომაგნიტურ ველთან რეზონატორში და შეიცავს ატომის როგორც მთლიანის მოძრაობის აღმწერ კინეტიკურ წევრს. მიღებულია ასეთი სისტემის შესატყვისი მოძრაობის განტოლებები. მოძრაობის ინტეგრალების გამოყენებით ამოხსნილია მოძრაობის ეს განტოლებები. განტოლებები ამოხსნილია სუსტი არაწრფივობის პირობებში.

ჯეიმს-კომინგსის მოდელში ქაოსურ რეჟიმში განსაზღვრულია სისტემის ფრაქტალური განზომილება. გამოყენებულია გრასბერგერ-პრიკაჩიას ალგორითმი. რიცხვითი გამოთვლებით სისტემის განზომილებაა $D = 2.56$, რაც სისტემაში უცნაური ატრაქტორის არსებობაზე და ქაოსზე მიუთითებს. კვაზიკლასიკური მეთოდის გამოყენებით მიღებულია მოძრაობის განტოლება დიპოლ-დიპოლური ურთიერთქმედებით დაკავშირებული ორი მაგნიტური მომენტისათვის, რომელიც დიკეს განზოგადოებული მოდელის ერთ-ერთი გამოვლენაა. მიღებულია მოძრაობის განტოლებები როგორც სეკულარული, ისე არასეკულარული წევრების გათვალისწინებით. ეს განტოლებები ამოხსნილია სუსტი არაწრფივობის პირობებში. დიკეს მოდელის ფარგლებში შესწავლილია მოძრაობის კვაზიკლასიკური განტოლების ამოხსნების სპექტრული მახასიათებლები

გამოქვეყნებული პუბლიკაციები/მონოგრაფიები:

1. A.Ugulava, Z.Toklikishvili, S.Chkhaidze, L.Chotorlishvili, R.Abramishvili. The complex energy spectrum of isomeric reactions Chem. Phys. (იბეWdeba)
2. A.Ugulava, G.Mchedlishvili, S.Chkhaidze, L.Chotorlishvili. Semiclassical theory of nonlinear resonance. . Phys. Rev. A. (იბეWdeba).
3. L. Chotorlishvili, P. Schwaba, Z. Toklikishvili, V. Skrinnikov. Entanglement sudden death and influence of the dynamical Stark shift for two Tavis– Cummings atoms. Physics Letters A 374 (2010) 1642–1647.
4. Угулава А., Чхаидзе С., Чоторлишвили Л., Хуцишвили К. Собоскопическое исследование годографа намагниченности при нелинейном ЯМР. Georgian Electronic Scientific Journal. 2010.
5. L.Chotorlishvili, P.Schwab, Z.Toklikishvili, J.Berakdar. Stochastic heating of a molecular nanomagnet. Phys.Rev.B, 82, 014416 (2010).

სამომავლო გეგმები:

არაწონასწორული თერმოდინამიკა და კვანტური ინფორმაციის პრობლემები ნანოსისტემებში.

კვლევის თემა: ოპტიკური იმპულსების მართვა ფოტონურ კრისტალებში

კვლევაში ჩართული პერსონალი: რამაზ ხომერიკი

2010 წელს ჩატარებული სამუშაოების მოკლე რეზიუმე: სტრუქტურირებულ ფოტონურ კრისტალებს დიდი პოტენციალი აქვთ სხვადასხვა სახის მთლიანად ოპტიკური მოწყობილობების (ოპტიკური გადამრთველების, ფილტრების, გამამძლიერებლების) შექმნისათვის სატელეკომუნიკაციო სისტემებისთვის. იმის გამო, რომ სინათლის გავრცელებას ასეთი ტიპის ფოტონურ სისტემებში რთული ბუნება აქვს, გამოყენებითი კვლევების პროგრესი დიდადა დამოკიდებული ახალი თეორიული კონცეფციებისა და სქემების შემუშავებაზე და გაუმჯობესებული რიცხვითი გამოთვლების მეთოდებზე. განხორციელებული პროექტის მიზანია

სწორედ ფუნდამენტური კვლევების მიმართვა პრაქტიკულად გამოსაყენებელი ოპტიკური მოწყობილობების შექმნისათვის. ამ მიზნის განსახორციელებლად დიდად გვეხმარება სხვადასხვა გრანტების (GNSF, NATO, CRDF, FP6) ფინანსირებით ჩვენს უცხოელ კოლაბორატორებთან (იტალია, საფრანგეთი, გერმანია, აშშ) თანამშრომლობის დროს დაგროვილი გამოცდილება. კერძოდ, ამ პროექტში გარდა ახალი ეფექტების თეორიული კვლევებისა, ჩვენ ვგეგმავთ აღმოჩენილი ეფექტების გამოყენებას სხვადასხვა სახის გამამდიერებელ, გადამრთველ, დეტექტორულ და გასაფილტრ მოწყობილობებში, რომლებიც იფუნქციონირებენ ტალღამტარი არეების, ფოტონური კრისტალებისა და ბოჭკოების ბაზაზე. აღსანიშნავია, რომ მიღებული შედეგები პირდაპირ შეიძლება გამოვიყენოთ ანალოგიური ეფექტების წინასწარმეტყველებისთვის აბსოლუტურად განსხვავებული ფიზიკური სისტემებისთვის, როგორებიცაა სპინური ჯაჭვები და ბოზე-აინშტაინის კონდენსატები ოპტიკურ მესერებში. ეს კვლევები კი თავის მხრივ კავშირშია ისეთ ეგზოტიკურ საკითხებთან როგორებიცაა ოპტიკური და კვანტური კომპიუტერული სისტემები.

გამოქვეყნებული პუბლიკაციები/მონოგრაფიები:

- (1) R. Khomeriki, D.O. Krimer, M. Haque, S. Flach (2010), "Interaction-induced fractional Bloch and tunneling oscillations", Phys. Rev. A, **81**, 065601. <http://dx.doi.org/10.1103/PhysRevA.81.065601>
- (2) R. Khomeriki (2010), "Nonlinear Landau-Zener tunneling in coupled waveguide arrays", Phys. Rev. A, **82**, 013839. <http://dx.doi.org/10.1103/PhysRevA.82.013839>
- (3) R. Khomeriki (2010), "Solitonic Bloch oscillations in two-dimensional optical lattices", Phys. Rev. A, **82**, 033816. <http://dx.doi.org/10.1103/PhysRevA.82.033816>
- (4) R. Khomeriki (2010), "Multiple Landau-Zener tunnelling in two weakly coupled waveguide arrays", Eur. Phys. J. D, <http://dx.doi.org/10.1140/epjd/e2010-10447-9>

სამომავლო გეგმები: კვლევების გაგრძელება ზემოთ აღწერილი პროექტის ფარგლებში.

2010 წელს დასრულებული გრანტების/სახელშეკრულებო თემების ფარგლებში ჩატარებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ანგარიში

გრანტის სათაური: (GNSF 179) "არაწრფივი სისტემების ქაოსური დინამიკა და მაგნიტური რელაქსაციური პროცესები ახალ პერსპექტიულ მასალებში"

ვადები: 2008-2010 წწ.

ბიუჯეტი: 150 000 ლარი

შემსრულებლები: ა.უგულავა, ს.ჩხაიძე, ლ.ჭოტორლიძევილი, ზ.ტოკლიკიშვილი, ვ.სკრინნიკოვი, თ.გვარჯალაძე, გ.მჭედლიძევილი, ნ.ფოკინა, კ.ხუციშვილი, კ.ნიკოლაძე

დამფინანსებელი (დონორი ორგანიზაცია, ფონდი): საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი

სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების მოკლე ანგარიში:

ანჰარმონიული ოსცილატორის მოდელში განხილულია ელექტრონის ჰამილტონის ფუნქცია ატომში, რომელიც იმყოფება ელექტრომაგნიტური გამოსხივების მოქმედების ქვეშ. დაწვრილებითაა მოცემული ნულოვან მიახლოებაში იზოლირებული რეზონანსის განხორციელების პირობები. სტაციონარული რეზონანსული რეჟიმის მდგომარეობაში წარმოიქმნება მდგომარეობა გარკვეული ქმედებით, რომელიც კლასიკური სიდიდეა. მისი შესწორება კი შეიძლება იყოს როგორც კლასიკური, ისე კვანტური სიდიდე. პირველ შემთხვევაში, ზომიერი არაწრფივობის მიახლოებაში, ქმედების დინამიკა განისაზღვრება უნივერსალური ჰამილტონიანით მეორე შემთხვევაში კი მისი კვანტური ანალოგით. ამ შეცვლის შედეგად მიღებულია არაწრფივი დიფერენციალური განტოლება რეზონანსული ქმედების შესწორებისათვის. იმ დაშვებით, რომ წარმოქმნილი კვანტური მდგომარეობა არის ქმედების შესწორების ოპერატორის საკუთარი მდგომარეობა, მიღებულია ქმედების შესწორების განტოლება მათიეშრედინგერის განტოლების ფორმით.

განხილულია ტავისკამინგის ჰამილტონიანი, რომელიც აღწერს ორფოტონიან გადასვლებს რეზონატორის შიგნით ატომის გადატანითი მოძრაობის გათვალისწინებით. კვაზიკლასიკური მეთოდის გამოყენებით მიღებულია მოძრაობის განტოლებები ასეთი სისტემისათვის მიღებული განტოლებები ინტეგრებულია სუსტი არაწრფივობის შემთხვევაში, როდესაც ატომის მოძრაობის კოორდინატა და იმპულსი შეგვიძლია ჩავთვალოთ ნელ ცვლადებად ატომშიდა გადასვლების მახასიათებელ ცვლადებთან შედარებით. რეზონანსულ და არარეზონანსულ შემთხვევებისათვის მიღებულია ამოხსნები ატომის მახასიათებელი სიდიდეებისათვის, რომლებიც იაკობის და ვაიერშტრასის ფუნქციებით გამოისახება. ნაჩვენებია რომ ატომის გადატანითი მოძრაობისათვის შეიძლება მიღებულ იქნას განტოლება, რომელიც დადის მათემატიკური საქანის განტოლებაზე, რომელზეც მოქმედებს გარე პერიოდული შეშფოთება. სხვადასხვა შემთხვევებისთვის გაკეთებულია ამ განტოლების ანალიზი და ნაჩვენებია რომ ამ დროს მიიღება მინიმალური ქაოსი. შეფასებულია სტოქასტური შრის სიგანე. ადრე მიღებული განტოლებების საფუძველზე შესწავლილია სისტემის ყოფაქცევა მლიერი არაწრფივობის პირობებში. არარეზონანსულ შემთხვევაში მითებულია ანალიზური ამოხსნები ცვლადისთვის. შესწავლილია s_z - ის ყოფაქცევა და გადართვა ერთი ტიპის მოძრაობიდან მეორე ტიპის მოძრაობაზე.

მიღებულია, რომ შერეული ვალენტობის მანგანიტებში ბირთვული ქვესისტემის მოძრაობის განტოლება შეიცავს გამტარებლობის ელექტრონების გადახტომებთან დაკავშირებულ წვლილს, რომელსაც შეუძლია განაპირობოს ბირთვული მილევა (რელაქსაციის T_2 დრო). მიღებულია, რომ შერეული ვალენტობის მანგანიტებში გრძივი რელაქსაციის დრო მეტია განივ რელაქსაციის დროზე (მსგავსად ბლოხის ტიპის განტოლებებისა). ამასთან, T_1 იზრდება, ხოლო T_2 მცირდება ტემპერატურის დაცემისას. ეს შედეგები თანხმობაშია ექსპერიმენტთან. გამოთვლილია აგრეთვე ნორმალური სიხშირე და გაძლიერების კოეფიციენტი. შერეული ვალენტობის მანგანიტებში გამოთვლილია ბირთვული დინამიური ამთვისებლობა, რომელიც შეიცავს მოძრავი e_g - ელექტრონების გადახტომების ეფექტს ბირთვულ მილევაზე და ბირთვული რეზონანსული სიხშირის წანაცვლებაზე. მიღებული შედეგები თანხმობაშია ექსპერიმენტთან

გამოქვეყნებული პუბლიკაციები/მონოგრაფიები:

1. L. Chotorlishvili, P. Schwaba, Z. Toklikishvili, V. Skrinnikov. Entanglement sudden death and influence of the dynamical Stark shift for two Tavis– Cummings atoms. Physics Letters A 374 (2010) 1642–1647.
2. Угулава А., Чхаидзе С., Чоторлишвили Л., Хуцишвили К. Собоскопическое исследование годографа намагниченности при нелинейном ЯМР. Georgian Electronic Scientific Journal. 2010.
3. L.Chotorlishvili, P.Schwab, Z.Toklikishvili, J.Berakdar. Stochastic heating of a molecular nanomagnet. Phys.Rev.B, 82, , 014416 (2010).
4. A.Ugulava, Z.Toklikishvili, S.Chkhaidze, L.Chotorlishvili, R.Abramishvili. The complex energy spectrum of isomeric reactions Chem. Phys. (ibid). (2010).

მოხსენებები კონფერენციებზე:

1. International Magnetics Conference, InterMag 2011, April 25-29, Taipei, Taiwan.

K. O. Khutsishvili, N. P. Fokina, A. I. Ugulava: Unusual Magnetic Relaxation Dynamics in Doped Manganites

2010 წელს დასრულებული გრანტების/სახელმწიფოებო თემების ფარგლებში ჩატარებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ანგარიში

